



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური

ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება №03-01/14

ქ. თბილისი

29.07.2020 წ.

**ცვლილება „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“
2020 წლის 1 ივლისის №03-01/07 ბრძანებაში**

მიმდინარე წლის 1 ივლისს „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) დირექტორის №03-01/07 ბრძანებით ობსერვატორიის სამეცნიერო თანამდებობებზე გამოცხადა ღია კონკურსი. კონკურსის დასრულების თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 13 აგვისტო. ამავე ბრძანებით (დანართი №4 - „კონკურსის წესი“) დადგინდა, რომ კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია (შემდეგში - „კომისია“), ხოლო მისი საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით იქმნება საკონკურსო კომისიის სამდივნო (შემდეგში - „სამდივნო“).

კონკურსის ამოცანაა („კონკურსის წესი“, მუხლი 2, პ. 2) ობსერვატორიის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად საუკეთესო კანდიდატების შერჩევა ამ თანამდებობებისათვის განსაზღვრულ პირობებთან კონკურსანტის შესაბამისობის დადგენის გზით, მისი კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილებისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე, ასევე, კანდიდატების შერჩევა-დასაქმების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში დაშვებულია განცხადებებისა და დოკუმენტების ელექტრონული წარდგენა, კონკურსის ამოცანის სრულფასოვნად შესრულებისთვის კომისიას და სამდივნოს ესაჭიროებათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ინტენსიური შიდა და გარე სამუშაო კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან. გარდა ამისა, კონკურსი ითვალისწინებს კონკურსანტებთან გასაუბრების ჩატარებას.

საყურადღებოა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში დადასტურებულია (<https://stopcov.ge>) ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულ პირთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. დაავადების მართვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გავრცელების პრევენციისათვის დადგენილი რეკომენდაციების (<https://stopcov.ge>) მაქსიმალური დაცვა. მოცემულ ვითარებაში, საქართველოში ამ დაავადების გავრცელების

მეორე ტალღასთან დაკავშირებული რისკები უშუალო კავშირშია კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა, კომისიის, სამდივნოსა და ობსერვატორიის ადმინისტრაციის წევრთა ჯანმრთელობასთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონკურსო პერიოდი ემთხვევა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო მიერ ობსერვატორიის თბილისის ოფისში (მისამართი: მ. კოსტავას ქ. N47/57, მე-5 სართ.) მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს. ობსერვატორიას კი, ალტერნატიული ფართი და კონკურსის ჩასატარებლად საჭირო სხვა ინფრასტრუქტურა ქ. თბილისში არ გააჩნია, არც მისი მიმდინარე წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს ასეთი პრობლემის გადასაჭრელად საკმარის ფინანსურ სახსრებს. ამდენად, ადგილი აქვს კომისიისა და სამდივნოს საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურულ და საკომუნიკაციო სირთულეებს, მით უფრო წლის მეტად ცხელ პერიოდში (აგვისტო).

ახლად წარმოქმნილი გარემოებების შესწავლისა და რისკები შეფასების შედეგად დაადგინა, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები საფრთხეს უქმნის კონკურსის ამოცანის სრულფასოვან შესრულებას „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის №03-01/07 ბრძანებით დადგენილ ვადაში, რაც დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისის №03-01/07 ბრძანებით განსაზღვრული კონკურსის ამოცანის სრულფასოვნად შესრულებისა და საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების მეორე ტალღასთან დაკავშირებული რისკების/საფრთხეების მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით, ვხელმძღვანელობ რა, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების პრინციპით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის N227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის“ წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“, „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტების, მე-9 მუხლის მე-6 და მე-7 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ“ 2020 წლის 1 ივლისის №03-01/07 ბრძანებაში და მისი მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. კონკურსი დაიწყოს 2020 წლის 1 ივლისს და დასრულდეს 8 დეკემბერს. მათ შორის, საბუთების (საკონკურსო განცხადებების) მიღების ვადად განისაზღვროს 2020 წლის 16-20 ნოემბერი (24:00 სთ).“.
2. დაევალოს დირექტორის თანაშემწესა (ე. დოხნაძე) და საქმისმწარმოებელს (თ. მერაბიშვილი) წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოცხადება: ობსერვატორიის თანამშრომელთა ინფორმირება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, ობსერვატორიის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნება და ინფორმაციის ობსერვატორიის ვებ-გვერდზე (www.abao.ge) განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი



რევაზ ჭანიშვილი